საქართველოს მთავრობის

დადგენილება №247

2015 წლის 2 ივნისი

ქ. თბილისი

მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ თანდართული დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულება (შემდგომში - დებულება) არეგულირებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წესებს.

2. დებულების მიზანია მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის გაუმჯობესება, უფლებამოსილი სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (შემდგომში - სტრუქტურული ერთეული) - მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობაში (შემდგომში - თბილისის რაიონი) შექმნილი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვასა და სამხედრო სამსახურში გაწვევას;

ბ) გამწვევი კომისია – „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის გამწვევი კომისია;

გ) სამოქმედო ტერიტორია – ტერიტორია, სადაც სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;

დ) სამხედრო აღრიცხვა – კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტრუქტურული ერთეულის მიერ მოქალაქის აღრიცხვა სამხედრო აღრიცხვაზე დგომის ზღვრულ ასაკამდე, რომლის დროსაც, მას წარმოეშობა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები;

ე) კოორდინირების დეპარტამენტი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტი;

ვ) რეგისტრაციის ადგილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რეგისტრაციის ადგილი;

ზ) წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვა – იმ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვის პერიოდისთვის უსრულდებათ 17 წელი, ასევე, 17-დან - 27 წლამდე ასაკის მოქალაქეების სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომლებიც არ იდგნენ სამხედრო აღრიცხვაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) სამხედრო ვალდებული პირი - სამხედრო-სააღრიცხვო ასაკს მიღწეული მოქალაქე, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ზღვრულ ასაკამდე;

ი) წვევამდელი – პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი მოქალაქე 27 წლის ასაკამდე, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომელთაც მოიხადეს ან მოხდილად ჩაეთვალათ სავალდებულო სამხედრო სამსახური, აგრეთვე, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური;

კ) რეზერვისტი - რეზერვში მყოფი პირი.

მუხლი 3. სამხედრო აღრიცხვის სახეები

1. სამხედრო აღრიცხვის სახეებია:

ა) წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვა;

ბ) რეზერვისტის სამხედრო აღრიცხვა;

გ) სპეციალური სამხედრო აღრიცხვა.

2.შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნას, აღრიცხვიდან მოხსნილი პირის ხელახალ სამხედრო აღრიცხვას, რეზერვისტის სამხედრო აღრიცხვას, კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეული.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №354 - ვებგვედი, 29.07.2016წ.

მუხლი 4. ვალდებულებები მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებით

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, თანამდებობის პირები, საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, სტრუქტურულ ერთეულებს, შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღეში, მიაწოდონ ინფორმაცია სამხედროვალდებული მოქალაქეების შესახებ.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მის სისტემაში არსებული უწყებები ვალდებულნი არიან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის მუნიციპალიტეტს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობას მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

3. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, სტრუქტურულ ერთეულს 10 დღის ვადაში შეატყობინოს იმ მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად ცნობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე.

4. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, თანამდებობის პირები და საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, არ მიიღონ/არ ჩარიცხონ სამსახურში/საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირი, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

5. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, თანამდებობის პირები, საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, სამსახურში/საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ იმ მოქალაქეთა შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ვალდებულნი არიან იმყოფებოდნენ სამხედრო აღრიცხვაზე, მათი მიღებიდან 10 დღეში მიაწოდონ შესაბამის სამსახურს.

6. სასამართლო ვალდებულია, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს 10 დღეში აცნობოს იმ მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) მიმართ განაჩენის ძალაში შესვლის შესახებ, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე.

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, აწარმოოს ძებნა და კანონიერი საფუძვლის არსებობისას, დააკავოს ის მოქალაქე, რომელიც თავს არიდებს სამხედრო სამსახურში გაწვევას ან/და სამხედრო სამსახურის გავლას.

8. გამოძიების ორგანოები ვალდებულნი არიან, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს 10 დღის ვადაში აცნობონ იმ მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე.

9. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ვალდებულია, 10 დღეში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს აცნობოს ინფორმაცია, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან იმ მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) გათავისუფლების შესახებ, რომელიც ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე.

10. სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი) ვალდებულია, სტრუქტურულ ერთეულს მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია თავისი ოჯახური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის (ფაქტობრივი და რეგისტრაციის), სამუშაო ადგილისა და თანამდებობის შეცვლის, განათლების შესახებ, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში.

11. ინფორმაციის დროულად ან სრულად წარუდგენლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, თანამდებობის პირები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა პირები პასუხისმგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ზღვრული ასაკი

მოქალაქის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ზღვრული ასაკია:

ა) სამხედრო წოდების არმქონეთათვის – 50 წლამდე;

ბ) სამხედრო წოდების (გარდა ოფიცრის სამხედრო წოდებისა) მქონეთათვის – 55 წლამდე;

გ) უმცროსი ოფიცრის წოდების მქონეთათვის – 50 წლამდე;

დ) უფროსი ოფიცრის წოდების მქონეთათვის:

დ.ა) პოლკოვნიკის წოდებამდე – 55 წლამდე;

დ.ბ) პოლკოვნიკის წოდების მქონეთათვის – 60 წლამდე;

ე) უმაღლესი ოფიცრის წოდების მქონეთათვის – 65 წლამდე.

მუხლი 6. სამხედრო სარეზერვო, კადრის და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში გაწვევა

1. სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას ახორციელებს, როგორც სტრუქტურული ერთეული, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრის და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში გაწვევას - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შესაბამისი პროცედურები (მათ შორის, სამედიცინო შემოწმების პროცედურა), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაწვევის განხორციელებისას.

თავი II

წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვა

მუხლი 7. საერთო სიის ფორმირება

1. წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვის დაწყებამდე, სტრუქტურული ერთეული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვს სტატისტიკურ ინფორმაციას, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით, მიღებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვის დაწყებამდე, ყოველწლიურად, მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტრუქტურული ერთეული გამოითხოვს კანონმდებლობით განსაზღვრულ ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას (დანართი №3) იმ პირთა შესახებ, რომლებიც ექვემდებარებიან სამხედრო აღრიცხვას.

3. წვევამდელის (პირველად) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, სტრუქტურული ერთეული ვალდებულია, შეადაროს მიღებული ინფორმაცია მე-4 მუხლით განსაზღვრული დაწესებულებებიდან წლის განმავლობაში მიღებულ მონაცემებს.

4. მოქალაქეთა შესახებ მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სტრუქტურული ერთეული ადგენს წვევამდელის (პირველად) სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან მოქალაქეთა საერთო სიას (დანართი №4).

5. საერთო სიაში ფიქსირდებიან, მხოლოდ, სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე (მათ შორის, მისამართის გარეშე) რეგისტრირებული მოქალაქეები.

6. მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომლებიც რეგისტრირებული არ არიან სამოქმედო ტერიტორიაზე, ფიქსირდებიან ცალკე სიაში.

7. საერთო სიაში არ შედიან ის მოქალაქეები, რომლებიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არ ექვემდებარებიან სამხედრო აღრიცხვას.

8. საერთო სიას ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და ადასტურებს ბეჭდით. სია ინახება არანაკლებ 12 წლის განმავლობაში.

მუხლი 8. მოქალაქეთა გამოძახება წვევამდელის (პირველად) სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად

1. წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვის მიზნით, საერთო სიაში მითითებული მოქალაქეების გამოძახებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უწყების (დანართი №5) მეშვეობით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოქალაქეთა სტრუქტურულ ერთეულში გამოძახების შესახებ შეტყობინება ხორციელდება იმ დაწესებულებების მეშვეობით, რომლებშიც სწავლობენ სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანი მოქალაქეები. აღნიშნულ დაწესებულებებს სტრუქტურული ერთეულის მიერ ეგზავნებათ შესაბამისი წერილი უწყებებთან ერთად, განესაზღვრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ მოქალაქეთათვის უწყებების ჩაბარება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებები, შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღეში, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს აწვდიან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესასრულებლად ინფორმაციას:

ა) მოქალაქეთა შესახებ, რომელთაც ჩაჰბარდათ უწყება (რაც დასტურდება მოქალაქის/უფლებამოსილი პირის მიერ უწყებაზე ხელის მოწერით);

ბ) მოქალაქეთა შესახებ, რომელთაც არ ჩაჰბარდათ უწყება - შესაბამისი მიზეზების მითითებით.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოძახებულ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანიდან 10 დღის ვადაში, სტრუქტურული ერთეული, იმ პირთა სამხედრო-სააღრიცხვო ბარათებს, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული მის სამოქმედო ტერიტორიაზე, უგზავნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

5. ამ დებულებით დადგენილი წესით, სტრუქტურული ერთეული იძახებს, აგრეთვე, იმ მოქალაქეებს,

რომელთა მონაცემებიც მიღებულ იქნა სააგენტოდან, მისი ტერიტორიული სამსახურებიდან ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან და რომელთა შესახებ არ არსებობს ინფორმაცია, სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, მათი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. აღნიშნულ მოქალაქეებს პირველად სამხედრო აღრიცხვაზე გამოსაძახებელ უწყებას სტრუქტურული ერთეული უგზავნის ინდივიდუალურად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მოქალაქე უარს აცხადებს უწყების ჩაბარებაზე, გზავნილზე კეთდება სათანადო აღნიშვნა და უბრუნდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ასეთ შემთხვევაში, უწყება ჩაბარებულად ითვლება.

7. უწყება ჩაბარებულად ითვლება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან მოქალაქესთან მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრი უწყების განმეორებით ჩაბარებისას ჩაიბარებს უწყებას ან უარს განაცხადებს მის მიღებაზე. უწყების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გზავნილზე კეთდება სათანადო აღნიშვნა და უბრუნდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 9. წვევამდელის (პირველად) სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა

1. სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადებულ მოქალაქეს განემარტება წვევამდელის (პირველად) სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის წესი, კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, რის შემდეგაც, ხდება მისი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და სამხედრო-სააღრიცხვო ბარათის (დანართი №6) შედგენა.

2. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას ექვემდებარებიან, აგრეთვე, 17 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეები, რომლებიც ობიექტური მიზეზით არ იყვნენ აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზე კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. სტრუქტურული ერთეული აღნიშნული მოქალაქეების სამხედრო აღრიცხვას ახორციელებს მათი გამოვლენისთანავე, წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვისათვის დადგენილი წესით.

3. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადებისას, მოქალაქემ თან უნდა იქონიოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დაბადების მოწმობა და მისი ასლი;

ბ) ოთხი ფოტოსურათი - 3X4;

გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი ასლი.

4. მიღებული ინფორმაცია აისახება მოქალაქის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათში, ხოლო შესაბამისი დოკუმენტები ინახება საქმეთა ნომენკლატურით გათვალისწინებულ საქმეებში. სამხედრო-სააღრიცხვო ბარათის სრულად შევსების მიზნით, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი უფლებამოსილია, მოქალაქეს დაუსვას დამატებითი კითხვები.

5. სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანი მოქალაქე ავსებს საკომუნიკაციო ურთიერთობის შესახებ განაცხადის ფორმას (დანართი №7) ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მოქალაქეს, ხოლო მეორე რჩება სტრუქტურულ ერთეულში. საკომუნიკაციო ფორმის შევსებისას, მოქალაქეს განემარტება ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულების მოხდასთან.

6. თუ სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანი მოქალაქე, მისი ასაკის გათვალისწინებით, ექვემდებარება სამხედრო სამსახურში გაწვევას, სტრუქტურული ერთეული იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული პირის სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სამსახურში გასაწვევად გამოძახების შესახებ.

7. სამსახურის მიერ 27 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეების სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას, მოქალაქე მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის, თბილისის რაიონის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ირიცხება რეზერვში.

8. სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარებიან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები.

9. სტრუქტურული ერთეული, მოქალაქეთა სამხედრო-სააღრიცხვო ბარათების მიხედვით, ავსებს სააღრიცხვო ანბანურ წიგნს (დანართი №8).

10. სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეებს ეძლევათ წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა

(დანართი №9), შესაბამისი უწყისის (დანართი №10) ხელმოწერის საფუძველზე. სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის გაცემისას, მოქალაქეებს განემარტებათ სამხედრო აღრიცხვის წესის დაცვის ვალდებულება და განესაზღვრებათ ვადა სტრუქტურულ ერთეულში გამოსაცხადებლად.

11. სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, მოქალაქის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა ექვემდებარება აღდგენას მისი განცხადების და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

12. სამხედრო აღრიცხვისათვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი პირი ამოწმებს საერთო სიაში არსებული მოქალაქეების გამოცხადებას, რომელთაც დადგენილი წესით ჩაჰბარდათ უწყება, აგრეთვე, აზუსტებს გამოუცხადებელ მოქალაქეთა რაოდენობას და მათი გამოუცხადებლობის მიზეზებს.

13. სამხედრო აღრიცხვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ითვლება:

ა) ავადმყოფობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ;

ბ) მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალება, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით;

გ) სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებები, რაც დადასტურებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით.

14. მოქალაქე (წვევამდელი, რეზერვისტი) ვალდებულია, გამოცხადდეს სტრუქტურულ ერთეულში წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობაში (დანართი №9) მითითებულ ვადაში.

თავი III

რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვა

მუხლი 10. რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის სამართლებრივი საფუძვლები

რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვა წარმოებს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. რეზერვში ჩარიცხვა

1. 27 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელსაც 27 წლამდე არ გაუვლია სავალდებულო სამხედრო სამსახური, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/თბილისის რაიონის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ირიცხება რეზერვში.

2. პირი, რომელმაც მოიხადა ან მოხდილად ჩაეთვალა სავალდებულო სამხედრო სამსახური, აგრეთვე, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, რეზერვში ირიცხება მუნიციპლიტეტის გამგებლის/მერის/თბილისის რაიონის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. რეზერვში ჩარიცხულ პირზე სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8) კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. მოთხოვნის შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეული პირს გადასცემს საქართველოს რეზერვისტის დროებით მოწმობას (დანართი №11).

4. პირი, რომელმაც უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გაიარა სამხედრო სამსახური და საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამგებლის/მერის/თბილისის რაიონის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ჩაირიცხება რეზერვში მინიჭებული კვალიფიკაციისა და სამხედრო წოდების შენარჩუნებით.

თავი IV

სპეციალური აღრიცხვა

მუხლი 12. სპეციალური აღრიცხვის განმახორციელებელი ორგანოები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები, მათ შორის, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული, კადრისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის საკონტრაქტო (პროფესიული) მოსამსახურეები იმყოფებიან შესაბამისი ორგანოს სპეციალურ აღრიცხვაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებები შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს 10 დღეში უგზავნიან შეტყობინებას მოქალაქის დანიშვნის შესახებ.

3. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღეში მოქალაქეს ხსნის სამხედრო აღრიცხვიდან და სათანადო ჩანაწერს აკეთებს სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8).

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებებში დანიშნულ და სამსახურის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილ მოქალაქეთა შესახებ არსებული სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია სტრუქტურული ერთეულის მიერ აღირიცხება ცალკე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №354 - ვებგვედი, 29.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №89 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

თავი V

სამხედრო აღრიცხვის განხორციელების სხვა წესები

მუხლი 13. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის რეზერვი

ის მოქალაქეები, რომელთაც მოიხადეს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ირიცხებიან არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის რეზერვში, რის შესახებაც, შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8).

მუხლი 14. ქალის სამხედრო აღრიცხვა

1. ქალის სამხედრო აღრიცხვას, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ახორციელებს სტრუქტურული ერთეული მას შემდეგ, რაც ის შეიძენს სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობას.

2. შესაბამისი დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სტრუქტურულ ერთეულს შესაბამისი ინფორმაცია შეაქვს სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8).

მუხლი 15. რეგისტრაციის ადგილის შეცვლა

1. თუ სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე შეიცვლის რეგისტრაციის ადგილს სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში, სააგენტოდან ან მისი ტერიტორიული სამსახურებიდან მიღებული შესაბამისი მონაცემები აისახება სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8) და სამხედრო-სააღრიცხვო ბარათში (დანართი №6).

2. მოქალაქის მიერ რეგისტრაციის ადგილის შეცვლის შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეული ვალდებულია, 3 დღეში გადასცეს ინფორმაცია (მოქალაქის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათი და სააგენტოდან ან მისი ტერიტორიული სამსახურებიდან მიღებული შეტყობინების ასლი პირის რეგისტრაციის ადგილის შეცვლის შესახებ) იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გაიარა პირმა რეგისტრაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს დაუყოვნებლივ აჰყავს მოქალაქე სამხედრო აღრიცხვაზე და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8).

მუხლი 16. სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნა, სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქის ხელახალი სამხედრო აღრიცხვა

1. სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე სამხედრო აღრიცხვიდან იხსნება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, გათავისუფლდა სამხედრო ვალდებულებისაგან;

ბ) მიაღწია სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ზღვრულ ასაკს;

გ) გაწვეულ და ჩარიცხულ იქნა სამხედრო სამსახურში, რაც დასტურდება სამხედრო სამსახურში გაწვევის (ჩარიცხვის) შესახებ შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით (დანართი №14);

დ) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე, მათ შორის, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული, კადრისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის საკონტრაქტო (პროფესიული) მოსამსახურე;

ე) იმყოფება არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურში;

ვ) იხდის სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით;

ზ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

2. სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლის გაქარწყლების შემთხვევაში, მოქალაქე ექვემდებარება ხელახალ სამხედრო აღრიცხვას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის ან სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქის ხელახალი სამხედრო აღრიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამდებობის პირი.

4. მოქალაქის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნისას ან ხელახალი სამხედრო აღრიცხვისას, სააღრიცხვო ანბანურ წიგნში (დანართი №8) კეთდება სათანადო ჩანაწერი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №354 - ვებგვედი, 29.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №89 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

თავი VI

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა

მუხლი 17. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა

1. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვევიან ის მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან ან ვალდებული არიან იმყოფებოდნენ სამხედრო აღრიცხვაზე.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარებიან ის პირები, რომლებიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გათავისუფლებული არიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან ან რომელთაც გადაუვადდათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

3. საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, კოორდინირების დეპარტამენტი, უწყებათა მოთხოვნების, გაწვევის ვადების, გაწვევის სპეციფიკისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ადგენს გაწვევის ჩატარების გეგმის პროექტს, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. აღნიშნული გეგმიდან ამონაწერი ეგზავნებათ სტრუქტურულ ერთეულებს.

4. მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა მოქალაქეთა

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისას, გამწვევ კომისიას უზრუნველყოფს სათანადო სამუშაო პირობებით (საჭიროების შემთხვევაში, გამოუყოფს ტექნიკურ პერსონალს) და იღებს შესაბამის ზომებს, გამწვევ კომისიაში მოქალაქეთა ორგანიზებულად გამოცხადებისათვის.

5. თუ სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ, შესაბამის გაწვევის ვადებში (გაზაფხულის ან შემოდგომის გაწვევის ვადებში) შეიცვლის რეგისტრაციის ადგილს, შესაძლებელია, მისი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა განახორციელოს იმ სტრუქტურულმა ერთეულმა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც პირს ჰქონდა რეგისტრაცია.

მუხლი 18. გამწვევ კომისიაზე გამოძახება

1. გამწვევ კომისიაზე წვევამდელთა გამოძახება ხდება როგორც პერსონალურად უწყების ჩაბარებით, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეტყობინების განხორციელებით. წვევამდელს უწყება შეიძლება ჩაბარდეს რეგისტრაციის ადგილის, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ადგილის მისამართებზე ან სტრუქტურული ერთეულისთვის ცნობილ სხვა ნებისმიერ მისამართზე. წვევამდელთა გამოძახების ფორმის შერჩევისას, სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს მოქალაქის მიერ შევსებული საკომუნიკაციო ურთიერთობის შესახებ განაცხადის ფორმაში (დანართი №7) მითითებული მონაცემებით.

2. გამოძახების შემთხვევაში, წვევამდელი ვალდებულია, სტრუქტურულ ერთეულში გამოცხადდეს განსაზღვრულ ვადაში.

3. თუ წვევამდელი უარს აცხადებს უწყების ჩაბარებაზე, გზავნილზე კეთდება სათანადო აღნიშვნა და უბრუნდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ასეთ შემთხვევაში, უწყება ჩაბარებულად ითვლება.

4. უწყება ჩაბარებულად ითვლება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ წვევამდელთან მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრი ჩაიბარებს უწყებას ან უარს განაცხადებს მის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, გზავნილზე კეთდება სათანადო აღნიშვნა და უბრუნდება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

5. გამწვევ კომისიაზე წვევამდელთა ორგანიზებულად გამოძახებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეული. სტრუქტურული ერთეული ვალდებულია, აკონტროლოს წვევამდელთა გამწვევ კომისიაზე გამოცხადების პროცესი და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6. გამწვევ კომისიაზე წვევამდელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, 3 სამუშაო დღის ვადაში დგება შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი და დაუყოვნებლივ იგზავნება სასამართლოში.

7. წვევამდელთა შესახებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, სტრუქტურული ერთეული ამოწმებს სათანადო მონაცემებს. მონაცემების შემოწმების შემდეგ, სამხედრო-სააღრიცხვო ბარათში (დანართი №6) კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, ხოლო წვევამდელი წარედგინება გამწვევ კომისიას.

8. წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათში გაკეთებული ნებისმიერი შესწორება დასტურდება სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №354 - ვებგვედი, 29.07.2016წ.

მუხლი 19. გამწვევი კომისიის შექმნისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამდებობის პირი გამწვევი კომისიის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელს.

2. გამწვევი კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. გამწვევი კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. გამწვევი კომისიის ის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, წერილობით დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც დაერთვება კომისიის სხდომის ოქმს.

5. გამწვევი კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია წვევამდელის მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ;

გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების შესახებ;

დ) სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ.

6. გამწვევი კომისია გადაწყვეტილებას იღებს, მხოლოდ, კანონის საფუძველზე. მისი გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ სამედიცინო კომისიის დასკვნას, რომელმაც შეამოწმა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამხედრო სამსახურისათვის მისი ვარგისიანობის დასადგენად.

7. გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კომისიის მდივნის მიერ ფორმდება ოქმის სახით (დანართი №1). ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის გამართვის თარიღი და ადგილი;

გ) კომისიის თავმჯდომარის და დამსწრე წევრთა ვინაობა;

დ) განსახილველი საკითხები;

ე) მიღებული გადაწყვეტილება.

8. გამწვევ კომისიას აქვს ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

9. კომისიის შეკრების ყოველ სამუშაო დღეს დგება თითო ოქმი. სხდომის ოქმის ყოველი გვერდი მოწმდება გამწვევი კომისიის ბეჭდით, ხოლო ოქმის ბოლო გვერდზე ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და ყოველი დამსწრე წევრი.

10. ოქმი აღირიცხება გამწვევი კომისიის ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №2) და ინახება გამწვევი კომისიის საქმეთა ნომენკლატურით განსაზღვრულ საქმეში.

11. მოქალაქეს კომისიის გადაწყვეტილებას უცხადებს გამწვევი კომისიის თავმჯდომარე. პირს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი ოქმის ამონაწერი.

12. მოქალაქეს შეუძლია, გამწვევი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში, გაასაჩივროს იგი სასამართლოში. ამ შემთხვევაში, გამწვევი კომისიის გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

13. გამწვევი კომისია უფლებამოსილია მოქალაქის გამოძახების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების ან სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტალურად დადასტურებული შესაბამისი საფუძველი.

14. გამწვევი კომისიის მიერ გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წვევამდელს ჩამოერთმევა სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტი, სამხედრო სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილების მიღებამდე.

15. გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ითვლება:

ა) ავადმყოფობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ;

ბ) მოქალაქის (წვევამდელის, რეზერვისტის) ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან აღმზრდელის გარდაცვალება, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით;

გ) სტიქიური ხასიათის ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებები, რაც დადასტურებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით.

მუხლი 20. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევა

1. გამწვევ კომისიაზე გამოძახებული მოქალაქე, რომელიც „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით, უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, გამწვევ კომისიას მიმართავს შესაბამისი განცხადებით.

2. გამწვევი კომისია „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განიხილავს წვევამდელის განცხადებას, შეისწავლის მის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათს, მოიძიებს სათანადო მასალებს, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მოყვანილი არგუმენტების სისწორეს და კანონით დადგენილ ვადაში იღებს შესაბამის დასკვნას.

3. გამწვევი კომისიის მიერ მიღებული დასკვნა მოქალაქის სამხედრო-სააღრიცხვო ბარათთან და სათანადო მასალასთან ერთად, ეგზავნება პირთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიას.

4. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევაზე უარის თქმის შესახებ მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პირის სამხედრო სამსახურში გაწვევა ხორციელდება საერთო წესით.

5. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის შემთხვევაში, მოქალაქე სამსახურში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, მოიხსნება სამხედრო აღრიცხვიდან, რის თაობაზეც, შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სააღრიცხვო ანბანურ წიგნსა (დანართი №8) და სამხედრო-სააღრიცხვო ბარათში (დანართი №6).

6. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულ და სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილ მოქალაქეზე არსებული სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაცია ექვემდებარება განცალკევებულად აღრიცხვას.

მუხლი 21. მუდმივმოქმედ სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიაში წვევამდელთა შემოწმება

1. პირის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სტრუქტურული ერთეული წვევამდელს წარადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემკრებ-გამანაწილებელ ცენტრში.

2. გამწვევი კომისიის მიერ წვევამდელთა გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სტრუქტურული ერთეული წვევამდელს აბარებს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის უწყებას (დანართი №5).

3. სტრუქტურული ერთეული ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულ შემკრებ-გამანაწილებელ ცენტრს უგზავნის შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) წვევამდელთა სახელობით სიას (4 ეგზემპლარი) (დანართი №12);

ბ) წვევამდელის პირადობის მოწმობის ასლს;

გ) სამხედრო-სააღრიცხვო ბარათს (დანართი №6);

დ) სამხედრო ნამსახურების ბარათს (დანართი №13);

ე) წვევამდელის სამედიცინო შემოწმების ბარათს (3 ეგზემპლარი).

4. ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულ შემკრებ-გამანაწილებელ ცენტრში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისია და გამწვევი კომისიის მიერ საკუთარი შემადგენლობიდან შექმნილი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი). მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისია სამედიცინო შემოწმების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის) ჩატარების შემდეგ, ადგენს წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის ვარგისიანობის ხარისხსა და კატეგორიას, ხოლო იმ უწყებას, რომელშიც წვევამდელმა უნდა გაიაროს სამხედრო სავალდებულო სამსახური, განსაზღვრავს (განსაზღვრავენ) სამუშაო ჯგუფის წევრი

(წევრები), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისია, შემოწმების შემდეგ, წვევამდელის შესახებ იძლევა დასკვნას სამხედრო სამსახურისათვის მისი ვარგისიანობის თაობაზე, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) ვარგისია სამხედრო სამსახურისათვის;

ბ) ვარგისია სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვით;

გ) შეზღუდულად ვარგისია სამხედრო სამსახურისათვის;

დ) დროებით უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის;

ე) უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის.

6. მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის მიერ წვევამდელის სამედიცინო შემოწმების შემდეგ სამხედრო ნამსახურების ბარათსა და წვევამდელთა სახელობით სიაში კეთდება აღნიშვნა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი კატეგორიის მითითებით.

7. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შერჩევის შემდეგ წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის მიერ წვევამდელთა სახელობით სიაში (დანართი №12) კეთდება სათანადო ჩანაწერი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №354 - ვებგვედი, 29.07.2016წ.

მუხლი 22. საქმისწარმოება და ელექტრონული დოკუმენტბრუნვა

1. სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამდებობის პირი დოკუმენტბრუნვის მოწესრიგების მიზნით, ამტკიცებს საქმეთა ნომენკლატურას, შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებს.

2. სტრუქტურულ ერთეულს აქვს ბეჭედი საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

3. სტრუქტურული ერთეული, ამ დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, აწარმოოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს მის მიერ შექმნილი ან მასთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ელექტრონულ ასლებს და მათ ამონაბეჭდებს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დედან დოკუმენტებს. სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტების დადასტურებას ავტომატურ რეჟიმში.

5. სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოცემულ (გაცემულ) დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

6. სტრუქტურულ ერთეულში არსებული სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საქმისწარმოების და მისი დაცვის რეჟიმის უზრუნველყოფისას, სტრუქტურული ერთეული მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. სამხედრო აღრიცხვისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საერთო პროცესის სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის უზრუნველსაყოფად, იქმნება ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლის ადმინისტრირებას, მათ შორის, მონაცემთა შეკრებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს კოორდინირების დეპარტამენტi.

8. სააგენტოს მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება შესაძლებელია, შესრულდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ელექტრონული ბაზის მეშვეობით.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ელექტრონული ბაზის გამოყენების ინსტრუქციას ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის დადგენილება №435 - ვებგვერდი, 28.09.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №500 - ვებგვერდი, 24.11.2017წ.

მუხლი 23. სტრუქტურული ერთეულის მიერ ინფორმაციის წარდგენის წესი

1. სტრუქტურული ერთეული მოქალაქის პირველადი სამხედრო აღრიცხვის შესახებ მონაცემების სრულ ანგარიშს წარუდგენს კოორდინირების დეპარტამენტს.

2. კოორდინირების დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია, გამწვევი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით, შესაბამისი წინადადებითა და რეკომენდაციებით მიმართოს სტრუქტურულ ერთეულს.

3. გაწვევის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ სრულ ინფორმაციას სტრუქტურული ერთეული წარუდგენს კოორდინირების დეპარტამენტს, რომელიც აღნიშნულ მონაცემებს აწვდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეული წარუდგენს მას ნებისმიერი სახის სააღრიცხვო ინფორმაციას, აგრეთვე, საჭიროების არსებობისას, უზრუნველყოფს თავისი საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის.